

საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ მიერ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში განხორციელებული ხმათა პარალელური დათვლის შედეგები და დასკვნები

საერთო-სამოქალაქო მოძრაობამ „მრავალეროვანმა საქართველომ“ (სმმს) გამოაქვეყნა ხმათა პარალელური დათვლის შედეგები, რომლის მიხედვით მმართველი პარტია ლიდერობს საგარეჯოს (94.72%), ლაგოდეხის (83.46%), გარდაბნის (75.70%), მარნეულის (84.40%), ბოლნისის (85.63%), დმანისის (83.21%), წალკის (71.34%), თეთრი წყაროს (63.65%), გორის (77.54%), ბორჯომის (74.40%), ახალქალაქის (91.04%), ნინოწმინდის (90.26%) რაიონებში, მაშინ როდესაც ცხრა-პარტიული ოპოზიციური ბლოკი ლიდერობს ახალციხის რაიონში (41.53%).

კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში პროპორციული, პარტიული სიებით ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მოაგროვა 83.46%, ცხრა-პარტიულმა ოპოზიციურმა ბლოკმა – 6.14%, გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატებმა – 3.19%, ლეიბორისტულმა პარტიამ – 3.06%.

სმმს-ს ჰყავდა 300 დამკვირვებელი კახეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში.

სრული მონაცემები ხელმისაწვდომია ინტერნეტ-გვერდზე <http://e-vote-count.info>. შედეგები განახლდება კონკრეტული უბნის თუ ოლქის შედეგების გაბათილების შემთხვევაში.

ხმათა პარალელური დათვლის შედეგები მთლიანად ემთხვევა სმმს-ს მიერ არჩევნების წინ ჩატარებულ წინასწარ კვლევებს ამომრჩეველთა მზადყოფნის შესახებ. აღნიშნული კვლევების მიხედვით, რესპოდენტების უმრავლესობა ინფორმირებული იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და გარკვეულწილად გაერთიანებული ოპოზიციის მოღვაწეობის თაობაზე. სხვა პარტიები თითქმის არ უთმობდნენ ყურადღებას ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს. სმმს იყო ის ორგანიზაცია, რომელიც თარგმნიდა პოლიტიკური პარტიების პროგრამებს უმცირესობათა ენებზე და ავრცელებდა რეგიონებში, რათა უზრუნველყო უმცირესობათა მონაწილეობა არჩევნებში. ამ შემთხვევაშიც კი, ყველა პოლიტიკური პარტია არ აწვდიდა ორგანიზაციას თავის პროგრამებს თარგმანის მომზადებისა და შემდგომ მათი გავრცელებისათვის. ინფორმაციულ იზოლაციასთან, იურიდიული განათლებისა და სამოქალაქო აქტიუობის დაბალ დონესთან ერთად, აღნიშნულმა ფაქტმა გამოიწვია ხმის მიცემის ასეთი დინამიკა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

სმმს-ის დამკვირვებლების მიერ აღმოჩენილი დარღვევების რაოდენობა და ხარისხი, ასევე იმ საარჩევნო უბნების რაოდენობა, სადაც არჩევნების შედეგები ბათილად გამოცხადდა, აჩვენებს მიზნობრივი რეგიონების მოსახლეობის დაუცველობის მაღალ დონეს არჩევნების გაყალბებასთან მიმართებაში. საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენელთა შესაძლებლობების განვითარებისათვის გაწეული დიდი ძალისხმევის მიუხედავად, არჩევნების დღემ აჩვენა, რომ საჭიროა გაგრძელდეს მუშაობა მათი შესაძლებლობების შემდგომი განვითარებისა და საარჩევნო პროცესის ცოდნის გაღრმავების მიზნით. იგივე სამუშაოა გასატარებელი ადგილობრივ ამომრჩეველთა მიმართ. „მრავალეროვანი საქართველო“ კვლავ იმედოვნებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა, სახელმწიფო უწყებები და სამოქალაქო საზოგადოება მხარს დაუჭერს მას ამ რთული და გამომწვევი ამოცანის განხორციელების საქმეში.